საექსპერტო შეფასება

ანგარიშზე „ქ. თბილისში, შარტავას ქუჩა №43-ში, ნაკვეთი №15/69, ს/კ 01.10.13.015.069, მრავალსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობის უბანზე ჩატარებული დამატებითი საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შედეგები“.

სს „ნიუ დეველოპმენტი“-ს თხოვნით ჩვენს მიერ 2020 წლის 1 ოქტომბერს შემოწმებული იქნა ქ. თბილისში, შარტავას ქუჩა №43-ში, ნაკვეთი №15/69,ს/კ 01.10.13.015.069, მრავალსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობის უბანზე ჩატარებული დამატებითი საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს იქნა ქ. თბილისში, შარტავას ქუჩა №43-ში, ნაკვეთი №15/69,ს/კ 01.10.13.015.069, მრავალსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობის უბანზე ჩატარებული დამატებითი საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია შპს „ახალი საქქალქმშენპროექტი“-ს გეოლოგიური ჯგუფის მიერ 2020 წლის აგვისტოში. სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელი, ინჟინერ გეოლოგი ნ. ილაშვილი. მათ გეოტექნიკურ ლაბორატორიაში არის შესრულებული გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების გამოკვლევები.

საექსპერტოდ წარმოდგენილია:

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი აკრეფილი კომპიუტერზე---------- 14 გვ.
2. ტექნიკური დავალება---------- 2 გვ.
3. პროგრამა---------- 1 გვ.
4. ცხრილი გრუნტების თვისებებზე---------- 1 გვ.
5. ცხრილი გრუნტის წყლის ქიმიურ შედგენილობაზე, დასკვნით--- 5 გვ.
6. მოედნის ტოპოგეგმა---------- 1 ფურც.
7. სამთო გამონამუშევრების ლითოლოგიური სვეტები---------- 3 ფურც.

8. მოედნის გეოლოგიური ჭრილი---------- 7 ფურც.

პროექტით საკვლევ მოედანზე უნდა აშენდეს 39 სართულიანი საცხოვრებელი კომპლექსი, 2 სართულიანი მიწისქვეშა ავტოპარკინგით. შენობის სავარაუდო სიმაღლეა 130 მეტრი. კონსტრუქციულად შენობა გადაწყვეტილია რკინაბეტონის კარკასში, შევსება იქნება აგურით ან ბეტონის წვრილი ბლოკებით. რაც შეეხება საძირკველს, მისი კონსტრუქცია და ჩაღრმავება გადაწყდება მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების გამოკვლევის შემდეგ.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ამავე ტერიტორიაზე ადრე, 2005 წელს გაბურღული იქნა ჭაბურღილები. რის საფუზველზეც დაიწერა ანგარიში და გამოყენებულია დასკვის შედგენისას.

მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების დასადგენად, საკვლევ მოედანზე ავტომანქანაზე დამონტაჟებული საბურღი დაზგით გაყვანილი იქნა 3 ჭაბურღილი. ორი ჭაბურღილი არსებულ ქვაბულში (ჭაბ 1 – 17 მ;, ჭაბ 2 – 18 მ) და ჭაბ. 3 გაიბურღა ქვაბულის აღმოსავლეთით, სიგრძით 20 მ. ასევე დამატებით გაიბურღა ორი ჭაბურღილი, №4 და №5, სიგრძით 7 მ, №1 და №2 ჭაბურღლების სიახლოვეს. ჭაბურღილიდან აღებული იქნა ნიმუშები გრუნტის თვისებების დასახასიათებლად. აღებული იქნა აგრეთვე გრუნტის წყლის სინჯები მათი ქიმიზმის დასადგენად

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე, საკვლევ მოედანზე გეოლოგიურ ჭრილში გამოყოფილი იქნა გრუნტის შემდეგი ფენები და საინჟინრო გეოლოგიური ელემენტები (ს.გ.ე.):

I ს.გ.ე. – კენჭნაროვანი გრუნტი;

II ს.გ.ე. – ძირითადი ქანები, ოლიგოცენის არგილითები, ძლიერ გამოფიტული;

III ს.გ.ე. – ძირითადი ქანები, ზედა ეოცენის არგილითები, გამოფიტული;

IV ს.გ.ე. – ძირითადი ქანები, ზედა ეოცენის არგილითებისა და ქვიშაქვების მორიგეობა - სუსტად გამოფიტული.

ავტორი აღნიშნავს, რომ გეოლოგიური აგებულებიდან გამომდინარე (მხედველობაში იღებს კომპლექსის მრავალსართულიანობას), შენობის ფუძე-

გრუნტებად მისაღებია ძირითადი ქანები, III და IV საინჟინრო გეოლოგიური ელემენტი, რასაც ვეთანხმებით. ავტორი იძლევა ცხრილს (ცხრილი №2) სადაც მოცემულია გრუნტის დამახასიათებელი ყველა თვისება ოთხივე ტიპის გრუნტზე და აღნიშნავს, რომ ვინაიდან მორიგეობაში ქვიშაქვებს არგილითები ჭარბობენ, ცხრილში უფრო მტკიცე ქანის ქვიშაქვების თვისებები არ არის მოცემული. ჩვენი აზრით უმჯობესი იქნებოდა ქვიშაქვების დახასიათებაც ყოფილიყო მოცემული. თუ როგორ შეირჩევა სიმტკიცის მაჩვენებლები გამომდინარე ძირითადი ქანების მორიგეობიდან, ეს საკითხი კონსტრუქტორის პრეროგატივაა, ამიტომ მას ჭირდება როგორც ქვიშაქვის, ისე არგილითების სიმტკიცე. აღვნიშნავთ, რომ უბანზე გავრცელებული ძირითადი ქანების, არგილითებიდან აღებული იყო 4 სინჯი, მათი დამარილიანების ხარისხის დასადგენად. თითონ მონოლითები ვერ იქნა აღებული მათი მსხვრევადობის გამო. ქვიშაქვების სიმტკიცის განსაზღვრისათვის აღებული იქნა 18 ნიმუში და განსაზღვრული იქნა მათი სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე, გრ. წულუკიძის სახელობის სამთო საქმის ინსტიტუტში, პროფესორ გ. ბალიაშვილის ხელმძღვანელობით. რაც შეეხება არგილითების წყლოვანი გამონაჟონის და გრუნტის წყლის სინჯების ქიმიური ანალიზები ჩატარდა შპს „ახალი საქქალქმშენპროექტი“-ს გეოტექნიკურ ლაბორატორიაში, დ. ახობაძის ხელმძღვანელობით.

ტერიტორიის ტოპოსაფუძვლად გამოყენებულია დამკვეთის მიერ გადმოცემული 1:500 მასშტაბის ტოპორუკა. საველე სამუშაოები ჩატარდა წამყვანი ინჟინერ-გეოლოგის ნ. ილაშვილის მიერ.

მშენებლობისათვის გამოყოფილი უბანი განთავსებულია საბურთალოს რაიონში, ჟ. შარტავას ქ. №43-ში. გეომორფოლოგიურად ტერიტორია წარმოადგენს მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირის ძველი ჭალისზედა ტერასის ნაწილს (საბურთალოს II ტერასა). აღვნიშნავთ, რომ II ტერასა I ტერასისგან გამოყოფილია 30-40^0 დახრილობის ციცაბო ფერდობით. ასევე აღვნიშნავთ, რომ დღეისათვის ტერიოტორია მოსწორებულია და ხასიათდება მცირე დახრით აღმოსავლეთ მიმართულებით.

ტექტონიკურად საკვლევი უბანი განთავსებულია საბურთალოს სინკლინის თითქმის ღერძულ ნაწილში. სინკლინის მულდის მახლობლად. აგრეთვე აღვნიშნავთ, რომ მომავალი მაღლივი შენობისათვის ქვაბული ამოღებულია სიღრმით 4-5 მ, რაც საშუალებას იძლევა შემოწმებული იქნას დეტალურად ჭაბურღილების საფუძველზე მიღებული მასალები. როგორც ავტორი აღნიშნავს ტერიტორია საინჟინრო გეოლოგიური თვალსაზრისით მდგრადია და რაიმე საშიში გეოლოგიური პროცესების (მეწყერი, ზვავი, სუფოზია, კარსტი და სხვა) განვითარება არ არის მოსალოდნელი.

ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური პირობებიდან აღნიშნულია, რომ გრუნტის წყალი განთავსებულია მიწის ზედაპირიდან 5-7 მ სიღრმეზე. წყალი მინერალიზირებულია და ხასიათდება სულფატური აგრესიულობით.

დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. თბილისში, შარტავას ქუჩა №43-ში, ნაკვეთი №15/69,ს/კ 01.10.13.015.069, მრავალსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობის უბანზე ჩატარებული დამატებითი საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები, აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც მოცემულია საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით. ცალკეული შენიშვნები ჩვენს მიერ გამოთქმული სამუშაოების მიმართ, ავტორის მიერ მიღებული იქნა და ანგარიშში შეტანილია სათანადო კორექტივები. დასასრულს ავღნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ანგარიში იმსახურებს დადებით შეფასებას და შეიძლება დაედოს საფუძვლად მშენებლობის პროექტს საინჟინრო გეოლოგიურ ნაწილში.

საქართველოს დამსახურებული მშენებელი,
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი /გ. ჭოხონელიძე/

გვარი, სახელი, მამის სახელი	ჭოხონელიძე გუგა ილიას ძე
ბიწის ტელეფონის ნომერი	ქ. თბილისი, კეკელიძის №10, ბინა 25 ტელ.: 2-22-00-44
დაბადების თარიღი	1928 წლის 16 თებერვალი
განათლება	1945 წელს დავამთავრე ქ. თბილისის 12 ვაჟთა სკოლა, 1950 წელს დავამთავრე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი, მშენებელ-ინჟინერის სპეციალობით, 1972 წელს დავამთავრე იგივე ინსტიტუტი, ინჟინერ-გეოლოგის სპეციალობით.
მინიჭებული კვალიფიკაცია	1974 წელს ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი (დიპლომი) 1975 წელს პროფესორი საინჟინრო გეოლოგიაში (დიპლომი) 2000 წელს საქართველოს საინჟინრო აკადემიის - აკადემიკოსი
საქმიანობა და სამუშაო გამოცდილება	1950-1958 წწ. ჰიდროგეოლოგიისა და მელიორაციის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი; 1958-1974წწ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში; 1983 წლიდან დღემდე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების მიმართულ ხელმძღვანელი
გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები და პუბლიკაციები	გამოქვეყნებულია 98 სამეცნიერო შრომა, მათ შორის მონოგრაფია „საქართველოს ლიოსისებური გრუნტები“ (1976წ) და „ამიერკავკასიის ლიოსისებური გრუნტები“ (1988 წ.) შესწავლილი და ანგარიშები დაწერილი მაქვს იწგურის ჰიდროელექტროსადგურის, ქ. თბილისის, ქ. რუსთავის, სოხუმისა და ქ. ფოთის საინჟინრო „გეოლოგიურ პირობებს გაცემული მაქვს 100-ზე მეტი საექსპერტო დასკვნა მშენებლობა დაკავშირებული ობიექტის საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებზე. მაქვს გამოგონებები გრუნტების გამაგრებაზე. ვარ ავტორი სახელმძღვანელოებისა: „გრუნტების მექანიკა და ფუძე-საძირკვლები“ 2005 წ. და „ საინჟინრო ნაგებობები“ (2012 წ.). ვარ ავტორი სამშენებლო ნორმების: 2.02.01 – 2003 წ. „შენობა-ნაგებობათა ფუძე-საძირკვლები“.
უცხო ენების ცოდნა	ქართული - მშობლიური; რუსული - კარგად; ინგლისური - ლექსიკონის დახმარებით

ДИПЛОМ
ДОКТОРА НАУК

МН № 007499

Решением
Высшей Аттестационной Комиссии
от 25 ноября 1965 г. (протокол № 16)

Уханскому Юрию Ивану

присуждена ученая степень доктора технических наук

Председатель Высшей Аттестационной Комиссии

Ученый Секретарь Высшей Аттестационной Комиссии

Москва 26 ноября 1965

დიპლომი

ЯI № 168169

ეს დიპლომი მიეცა გუგა ილიას ძე
ჭოხონელიძეს
მასზე, რომ იგი 1967 წელს შევიდა ვ. ი. ლენინის
სახ. შრომის წითელი დროშის ორდენოსანი
საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში
და 1972 წელს დაამთავრა
აღნიშნული ინსტიტუტის

სრული კურსი სპეციალობით ჰიდროგეოლოგია
და საინჟინრო გეოლოგია

სახელმწიფო საკვალიფიკაციო კომისიის 1972 წ.
30 ივნისის დადგენილებით
გ. ი. ჭოხონელიძეს მიენიჭა
სამთო ინჟინერ-
ჰიდროგეოლოგის კვალიფიკაცია.

ქალაქი თბილისი 197[illegible] წ. „2" აპრილი
სარეგისტრაციო № ГЕ-205



საქართველოს რესპუბლიკა

მოქალაქის პირადობის მოწმობა

პირადი № 01026010589

სახელი გუგა

გვარი ჭიპონელიძე

დაბადების თარიღი 16.02.1928 წ.

დაბადების ადგილი თბილისი

ეროვნება ------

№ ღ 0266413

პირადი ხელმოწერა



მისამართი ------

მოწმობის გამცემი ორგანოს დასახელება თბილისის საბურთალოს რაიონის შ.ს. მეორე პოლიციელების განყოფილება

გაცემის თარიღი 29.09.2000 წ.

მოქმედების ვადა ------

ბ.ა. თანამდებობის პირის ხელმოწერა